# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 207

„27" ივნისი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.05.006.054) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 13 აპრილის №15 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 ივნისის №04/6672 წერილის (AR1482989) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.05.006.054) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1482989 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2 აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი




ქ. თბილისში მინდელის№12-ში მრავალფუნქციური კომპლექსის
უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა(კორექტირებული)